ცნობის ფურცელი

№ 1955 ოთხშაბათი, 16 ოქტომბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1955

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

მთავრობის ნებართვით
სამს ღვინობის თვიდან გაიხსნა
ახალი მეთოთხმეტე აფთიაქი
პროვიზორის ნიკოლოოზ ივანეს ძის
გაზიეროვისა.
პესკის ქუჩა, სახლი № 26. (10—4)

წარმოდგენა 5 ტელეფონი 617
ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 17 ოქტომბერს 1902 წ.
გასტროლი ვ. ა. ბალანჩივაძისა
ქართულ დრამატიულ დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
ორი პიესა
I
ირინეს ბედნიერება
სოფლის სურათები 2 მოქ. დ. კლდიაშვილისა.
II
მარჯვე დღე
კომედია 3 მოქ. ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა,
თარგ. მ. საფაროვისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ჭუავა, ნ. რონელი და სხვ.; ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. ბალანჩივაძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ლანდი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ჟღენტი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მანეთიდან 10 მანეთამდე, პარტერი 70 კაპეიკიდან 3 მანეთამდე, თეატრი 80 კაპეიკიდან 1 მ. 50 კაპეიკამდე, ერეია 25 კაპ.-დან 45 კაპ.-მდე. შეგირდებისთვის ადგილები პარტერში 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

მზადდება წარმოსადგენად: „მუშაკი და ნებიერი“, „უბედურ ვარსკვლავზე“, „პარიზის ღარიბ ღატაკნი“ და სხვ.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს პიესის მოქმედების დროს ტაში ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკვრელად. რეჟისორი **ვ. გუნია.**

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი
(ტელეფონი № 617)
დღეს, ოთხშაბათს, 16 ოქტომბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
კარმენი
ოპერა 4 მოქ. მუსიკა ბიზესი.

დონ-ხოზეს როლს შეასრულებს **ა. პ. ბონაჩიჩი**, კარმენისას—**კარამზინ-ჟუკოვსკისა.**

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაშინსკისა, კარამზინა-ჟუკოვსკისა, სკორუპსკისა, ბაუერი და სხვანი; ბ-ნნი: ბონაჩიჩი, სუნცოვი, იზმაილოვი, პეტროვი, პევცოვი და სხვანი. **კაპელმეისტერი** ლ. პ. შტეინბერგი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

ხუთშაბათს, 17 ოქტომბერს, „ტფილისის კრუჟოკ“-ში წარმოდგ. იქნება ბ-ნ **ბროჯიმუჟინის** მონაწილეობით **„რიგოლეტო“**. მალე იქნება **ბენეფისი** არტისტის **ა. პ. ბონაჩიჩისა.** ბილეთები იყიდება. მზადდება წარმოსადგენად ოპ. **„მარგალიტების მაძიებელნი“**, მუსიკა ბიზესი.

პარასკევს, 18 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნება **„ლაკმე“**. მუს. დელიბისა.

სახელოვნო ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.**
(ნ. 0—24)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ბედიანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

დ. ა. ბედიანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 9—11.

ა. ზ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

პრ. ვ. სოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).
ტელეფონი № 274. (წო.)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელაშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ე ქ ი მ ი
ვ. ლამბაშიძე
იღებს ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან.

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. წარსულ ორშაბათს სენის დეპარტამენტის დეპუტატმა ნაციონალისტმა როშმა წინადადება შეიტანა პალატაში, სარწმუნოებათა ბიუჯეტი მოვშალოთ, ეკკლესია სახელმწიფოსაგან გავაცალკევოთ და კონკორდატი გავაუქმოთო. რაც სარწმუნოებათა ბიუჯეტსა და სამღვდელოების ჯამაგირებზე ფული მიდიოდა, იმ ფულით მუშებისათვის საპენსიო კასსა დავაწესოთო. პირველ-მინისტრმა კომბმა გამოაცხადა, მთავრობა სრულ თავისუფლებას აძლევს პალატას, როგორც ჰსურდეს, ისე გადასწყვიტოს ეს საქმეო. კომბმა დაუმატა: ეს კია, რომ ვერ გამიგია, თუ რისთვის შემოიტანა როშმა ეს წინადადება, ნამდვილის წრფელის გულით სწადიან თავის წინადადების ასრულება, თუ მარტო იმასა სცდილობს, რომ მთავრობას საქმე გაუჭიროს (მემარცხენეთა დასი ტაშს უკრავს). სოციალისტმა დეჟანმა გამოაცხადა: თუ ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევებას ყველა კონგრეგაციების დახურვაც მოჰყვება, ჩემი პარტია მოითხოვს, რომ ეს წინადადება დაუყოვნებლივ განიხილოს პალატამაო. მაგრამ სინამ პალატა როშის წინადადების განხილვას შეუდგებოდეს, ჯერ ამნაირივე მეორე პროექტი უნდა გაარჩიოს, შარშან რომ სოციალისტებმა წარმოადგინესო. ამის შემდეგ ბრისონმა სთქვა: სანამ სასკოლო საქმესა და ბერების კონგრეგაციების საქმეს საბოლოოდ არ გადავსწყვეტთ, ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევება შეუძლებელიაო. მერე პალატა კენჭის ყრას შეუდგა და 237 ხმის უმეტესობით 219 წინააღმდეგ უარჰყო დეჟანის წინადადება; როშის წინადადებაც უარ-ჰყვეს 286 ხმის უმეტესობით 179 წინააღმდეგ.

ამას შემდეგ გადასწყვიტეს: რაც ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევებისა, ბერების კონგრეგაციებისა და საკონგრეგაციო სკოლების დახურვის თაობაზე წინადადება იქნება შემოტანილი, ყველა ამ წინადადების განსახილველად განსაკუთრებული კომისია დავნიშნოთო.

◆ ბორდოს არქიეპისკოპოსმა აუდიენცია სთხოვა პირველ მინისტრს. კომბს შეუტყობინებია ეპისკოპოსისათვის, ვერ მიგიღებთ, რადგანაც თქვენც ხელი გიწერიათ ეპისკოპოსებისაგან წარმოდგენილ საერთო საჩივარზეო, ეს საჩივარი კი ნამდვილი დემონსტრაციაა მთავრობის წინააღმდეგაო. ამას გარდა კომბმა უბრძანა სარწმუნოებათა დეპარტამენტის დირექტორს, რომელ ეპისკოპოსსაც საჩივარზე ხელი უწერია, ნურც ერთს ნუ მიიღებ, სანამ მინისტრების საბჭო საბოლოო განაჩენს არ დაადგენს ამათ თაობაზეო.

მაკედონია. „ბერლ. ტაგებლატ“-ს ამნაირი კერძო დეპეშა მიუღია სტამბოლიდან: შეიძლება, რომ მაკედონიის ამბების გამო დიდ-სახელმწიფოების ელჩებმა საერთოდ ნოტა მისწერონ ოსმალეთის მთავრობას. ოსმალეთის მთავრობამ დიდ სახელმწიფოების ელჩებს და გაზეთებს ცირკულიარი გაუგზავნა. ცირკულიარში ოსმალეთის მთავრობა ამტკიცებდა, ევროპიული გაზეთები მაკედონიის მოძრაობას აზვიადებენ და ეხლა იქ მშვიდობიანობა და წესიერება ჰსუფევსო. ხსენებულ დეპეშას თუ ვერწმუნეთ, დიდ სახელმწიფოების ელჩებს განზრახვა აქვთ ამ ცირკულიარის პასუხად საერთო ნოტა შეადგინონ. ხმა დადის, საერთო ნოტა მარტო იმას კი არ დასჯერდება, რომ ოსმალეთს მაკედონიაში რეფორმების შემოღება ურჩიოს; აქედან სულ ერთია არა გამოვა-რა, ნოტა პირდაპირ მოსთხოვს ოსმალეთს, რომ მაკედონიაში ესა და ეს წესები დააწესოს. ამბობენ, ავტონომიას დააწესებენ და მთავარ-მართებლად ქრისტიანს დაანიშვნინებენო. მაგრამ მაინც იმედი არაა, რომ ოსმალეთის მთავრობამ ელჩების წინადადება შეასრულოს, თუ დიდმა სახელმწიფოებმა ძალა არ დაატანეს.

◆ ალბანელების სარდალი ბოლეტინაცი, რომელიც ადრე მიტროვიცაში რუსეთის საკონსულოს დაეცა, ეხლა ძლივს დაუჭერიათ და სტამბოლში ჩაუყვანიათ. ამბობენ, მცირე აზიაში, კონიაში გაჰგზავნიანო, მაგრამ არც ის იქნება საკვირველი, რომ ოსმალეთის მოხელეებმა, ჩვეულებისამებრ, გაქცევა არ დაუშალონ ბოლეტინაცს.

◆ მაკედონიის კომიტეტი ძლიერ მხნედ იქცევა. კომიტეტის თავმჯდომარეს მიხაილოვსკის მაკედონიის საზარელ მდგომარეობის თაობაზე დეპეშა შეუდგენია და დიდ სახელმწიფოების მთავრობებისა, გამოჩენილ მოღვაწეებისა და გავლენიან გაზეთებისათვის გაუგზავნია. დეპეშის შინაარსი გუშინდელ ნომერში გვქონდა მოხსენებული. გაზ. „ცაიტ“-ს გარდა ეს დეპეშა მიუღია კიდევ „ტაიმს“-ს, „ტან“-ს და „ტრიბუნა“-ს და სხ. გამოჩენილ მოღვაწეთაგან მიუღიათ, სხვათა შორის, ლეონ ბურჟუას, ვალდეკ რუსოს, ანატოლ ფრანსს, ჰერბერტ გლადსტონს და ცანარდელის. მიხაილოვსკის ინგლისის პარლამენტისათვისაც გაუგზავნია ეს დეპეშა. თითონ მიხაილოვსკიც ევროპის უმთავრეს ქალაქებში აპირებს წასვლას იმ აზრით, რომ საზოგადოებას მაკედონიის მდგომარეობა გააცნოს და დახმარება სთხოვოს. კომიტეტის კასა თითქმის მთლად დაცალიერდა, ამიტომ კომიტეტმა ქუჩებში განცხადება გააკრა და ბოლგარიაში მყოფ მაკედონელ ექიმებს, მასწავლებლებს და სხვებს შეევედრა, რაც შეიძლება მალე ფული შემოსწირეთ კომიტეტსაო.

◆ „ნ. ფ. პრესე“-ს სოლუნიდან ამნაირი დეპეშა მოჰსვლია: რუსის კონსულმა, ნ. გირსმა ნადირობა მოიმიზეზა და ბოლგარიის საზღვარზე, აჯანყების ადგილს წავიდა. ეს არის ეხლა დაბრუნდა მელნიკიდან.

◆ ოსმალეთის მთავრობა იუწყება სოლუნიდან: აჯანყებული ხალხი ბოლგარიის საზღვრისაკენ იხევს. ზოგი ბოლგარიაშიაც გადადიან. ოსმალოს ჯარი სდევნის მაკედონელებს. აჯანყებულ ოლქების მცხოვრებლები მთიდან თავიანთ სოფლებში ბრუნდებიან. ოსმალეთის ჯარს სტრუმის ხეობაში კრესენის მთის გასავალი დაუჭერია. ოსმალების აზრით ეს იმის ნიშანია, რომ აჯანყება მალე გათავდებაო, ორ კვირაში სულ ბოლოს მოუღებთო. ბოლგარიის საზღვარზე დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავიო: სულ მაკედონიიდან არიან გამოქცეულებიო.

◆ ოსმალეთის მთავრობა იუწყება, მაკედონიელ პოლკოვნიკ იანქოვს ოსმალოს ჯარი შემოეხვიაო. გენერალი ცონჩევიც აჯანყებულ ხალხში იმყოფებაო. ქალის ტანისამოსი ჩაიცვა და ისე გადავიდა ბოლგარიის საზღვარზეო.

◆ ოსმალური გაზეთები ძლიერ გაცეცხლებულან იმაზე, რომ აჯანყებული ხალხი ტყვე ოსმალოს ჯარის-კაცებს ბოლგარიაში ჰგზავნის და იქ პოლიციას აბარებსო.

◆ ბოლგარული გაზეთი „ვეჩერნია პოჩტა“ იუწყება, მეამბოხეთ სოლუნის რკინის გზის ახლო ცხრა ადგილას ტელეგრაფის მავთულები გაწყვიტესო.

◆ ბოლგარიული ოფიციალური გაზეთი „ბლგარია“ იუწყება: მაკედონიიდან 600 სული ბერი-კაცი, დედაკაცი და ბავშვი მოვიდა ბოლგარიაშიო. ყველანი ოსმალეთის მხეცობას გამოჰქცევიან. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ურჩია ამ უბედურებს, ისევ მაკედონიაში დაბრუნდით და ბოლგარიის მთავრობა თავის მხრივ სთხოვს ოსმალეთის მთავრობას, რომ იქ ხელი არავინ გახლოთო. მაგრამ უბედურებმა გადაჭრით გამოაცხადეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს რჩევას ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიღებთო, თივისუფალ ბოლგარიაში შიმშილისაგან და სიცივისაგან სიკვდილი გვირჩევნია მაკედონიაში მხეც ბაშიბუზუკების ხანჯლისაგან სიკვდილსაო.

იტალია. გაზ. „ინფორმაციონ"-ის რომაელი კორესპონდენტი იუწყება: დეპუტატ ვოლემბერგმა თავის ამომრჩევლების წინ ილაპარაკა. დეპუტატის სიტყვამ პარლამენტის წრეები აალაპარაკა და საზოგადოებაშიაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ვოლემბერგს—წინად ფინანსთა მინისტრად იყო ცანარდელის სამინისტროში—იტალიის ფინანსთა რეფორმის თაობაზე ულაპარაკნია. ვოლემბერგს ეთქვა: აუცილებლად საჭიროა, ორი ახალი დიდი გადასახადი შემოვიღოთო, შემოსავლის გადასახადი და ღვინის ბაჟიო. ორმავე გადასახადმა ყოველ წელს 300 მილ. ლირაზე ნაკლები შემოსავალი არ უნდა მოგვცენო. ამავე დროს ვოლემბერგი ამტკიცებდა, საჭიროა სანოვაგის გადასახადი გაუქმდეს და საადგილ-მამულო გადასახადი სოფლებს, თემებს და ქალაქებს დაუთმოს სახელმწიფომაო. ამ პროგრამაზე ბევრჯელ ყოფილა ლაპარაკი და უმეტეს ნაწილად მოუწონებიათ ხოლმე. პირველ მინისტრს ცანარდელის უთქვამს, ამ პროგრამაში რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი მუხლია, მაგრამ ამ რეფორმის ასრულების დრო ჯერ არ მოსულაო. ვოლემბერგი იტალიაში გამოჩენილ ფინანსისტად ითვლება და ადვილად შესაძლებელია, რომ ხელ-მეორედ გახდეს მინისტრად.

ახალი ამბავი

◆ 20 ოქტომბრისათვის დანიშნულია **საგანგებო კრება** ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოებისა. ამ კრებამ საბოლოოდ უნდა გადასწყვიტოს საკითხი საზოგადოების წესდების შეცვლისა და საზოგადოების გაფართოვების შესახებ. კრება მოხდება საღამოს 6 საათზე, დედათა პირველ გიმნაზიის სადგომში.

◆ **ბათუმიდან** დეპეშით გვატყობინებენ: ბათუმის საბჭომ უკანასკნელს სხდომაზე (ორშაბათს, 14 ოქტომბერს) უარჰყო წინადადება იმის შესახებ, რომ გამოეცხადოს მადლობა ექიმს ტრიანტიფილიდისს და მით სრული ნდობა გამოუცხადა ქალაქის გამგეობას ახალ საავადმყოფოს შტატის მოწყობის საქმეში.

◆ **ტფილისის ტრამვაის** უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს ბ-ნ რაგოლერს ქალაქის გამგეობისათვის წარუდგენია სხვა-და-სხვა სახის ვაგონ-მოტორის პროექტები ტფილისში ელექტრონის ტრამვაისათვის სახმარებლად. ვაგონი-მოტორი ბერლინისა, პარიზისა, ვენისა და ფრანკფურტ მაინის ქალაქების ტიპისა წარუდგენია. კომისიამ უკანასკნელს ქალაქში ხმარებულ ვაგონ-მოტორის ტიპი უფრო მოსახდენად იცნო ტფილისისათვის.

◆ როგორც შევიტყეთ, **ჰუსეინ-რაჰიმ-ოღლი**, რომელიც პალატამ დამნაშავედ იცნო კოსაკოვსკის მოკვლისა და ვოინოს დაჭრისთვის, აპირობს პალატის გადაწყვეტილების სენატში განსაჩივრებას.

◆ გაზ. „ნოვოსტი დნია" გვატყობინებს, რომ **ქართველ სტუდენტთა საღამო** მოსკოვში ნოემბრის 3-ს გაიმართება „კეთილ-შობილთა დარბაზში"-ო. როგორც წინა წლებში, საღამოს თავ. ა. ი. სუმბათაშვილი გაჰმართავს. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა აღუთქვამთ სახაზინო და კერძო თეატრების საუკეთესო არტისტებს.

◆ წელს **ტფილისის სამუსიკო სასწავლებელში** 6 დაუმთავრებია სწავლა; ამათგან ორი სომხის ქალია, ორი ებრაელის ქალი; ვაჟები—ერთი ებრაელია და ერთიც რუსი.

◆ გუბერნატორმა **სამაზრო ადმინისტრაციას განუმარტა**, რომ იმ დაბებში, სადაც ჯარები არიან დაბინავებულნი (მანგლისი, აღბულაღი, გომბორი, დედოფლის-წყარო და სხვა), წარმოდგენები, კონცერტები და საღამოები სამოქალაქო მთავრობის ნებადართვით უნდა გაიმართოსო, ხოლო სახალხო საკითხავები —სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება-დართვითაო. ეს განკარგულება თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებისა მოახდინა ბ-ნმა გუბერნატორმა.

◆ ქალაქის სასარგებლოდ საშუალო აქციზის გადახდა ზოგიერთ კონდიტერს არც შეჰხებია, რადგან ქალაქის სიებში არც კი ყოფილა შეტანილი. მაგალითად, კონდიტერი ჰენე, გოლოვინის პროსპექტზე, არ იხდიდა თურმე სააქციზო გადასახადს. ამის გამო ოქმი შეუდგინეს ბ-ნ ჰენეს და 15 თუმანი გადასახადი შეაწერეს.

◆ ის მედუქნეები, რომელნიც საჭმელებს ჰყიდიან, ქალაქის სასარგებლოდ საშუალ საქციზო გადასახადს იხდიან. ზოგისაგან საჩივარი შესულა ქალაქის გამგეობაში, ბევრია ამისთანა დუქანი ქალაქში, მაგრამ გადასახადს არ იხდიანო. გამგეობამ გამოიკვლია, აგენტების შემწეობით ყველა მედუქნე ჩამოიარეს და აღმოჩნდა 40 მედუქნე კანონიერად არ ვაჭრობდა. რა თქმა უნდა, ამ 40 ვაჭარს გარდასახადი შეაწერეს.

◆ ტფილისის რკინის გზის სადგურიდან ევგენი ზემელისა და ვაჰრის ხარაზოვის 660 მანეთად ღირებული საქონელი გამოუტანებიათ დანიშნულ ადგილზე მისატანად იოსებ ყაზაროვისა და ბაგრატ შახნაზაროვისათვის, რომელთაც საქონელი სადღაც გაუყიდნიათ და დამალულან. პოლიციელებს შახნაზაროვი და ყაზაროვი უკვე დაუპატიმრებია. პოლიციას 578 მანეთის გაყიდული საქონელიც უნახავს დამნაშავენი პასუხის გებაში იქნებიან მიცემული.

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც „გრაჟდანინი" გადმოგვცემს, აზრადა აქვთ პეტერბურგის თვით-მმართველობაში ორი უმთავრესი ცვლილება მოახდინონ: 1. დააწესონ სრული კანტროლი ქალაქის შემოსავალ-გასავლისა და 2. მიანიჭონ ბევრად მეტი უფლება ქალაქის მოურავს, რომელსაც მთავრობა დანიშნავს.

◆ სამხედრო უწყებას დაუდგენია, ჯარისათვის საჭირო პური პირ-და-პირ გლეხებისაგან იყიდონ. პურს იყიდიან დიდ ბაზრებში, სადაც გლეხობას გასასყიდად გააქვს. ეს საქმე განსაკუთრებულ რწმუნებულს მიენდობა, რომელსაც აგენტები ეყოლება პირველ ხანს შემდეგ გუბერნიებში: პენზისა, სიმბირისა, სამარისა და ყაზანისაში.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა სია რუსეთის იმპერიის სამაზრო და საგუბერნიო ქალაქებისა. სიაში ისიც არის აღნიშნული, სად როგორი თვით-მმართველობაა. მალე სამინისტრო გამოსცემს ყველა დაბების სიას. ამ სიაში მცხოვრებთა რაოდენობაც იქმნება აღნიშნული.

◆ მალე რუსეთი იდღესასწაულებს რუსულ პრესის დაარსებიდან ორასის წლის შესრულებას. ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად კრება ექმნებათ ამ დღეებში პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელთ.

◆ რუსეთის სათეატრო საზოგადოებას აზრადა აქვს ააგოს დიდი სასახლე და დააარსოს იქ სახელოვნო სკოლა. ამ სკოლაში დრამატიულ, საოპერო და საბალეტო ხელოვნების გარდა, ასწავლიან მხატვრობას, ქანდაკებას და სხვას.

◆ ერთ ინტელიგენტ და მდიდარ იაკუტს შუამდგომლობა აღუძრავს ქალაქ იაკუტში გაზეთის გამოცემის შესახებ. ამ იაკუტს უკვე დაუბარებია რუსეთიდან მთელი სტამბა.

◆ ლ. ნ. ტოლსტოის დაუმთავრებია ახალი რომანი „ჰაჯი-მურატი". სამწუხაროდ, მხცოვან მწერალს გადაუწყვეტია სანამ ცოცხალია, არ დაბეჭდოს ეს რომანი.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

ოც-და-შვიდ საქმიდან, რომელიც მოთავსებული იყო ორშაბათის საბჭოს სხდომის უწყებაში, მხოლოდ ორი განიხილეს. არც გასაკვირველია: სხდომა მხოლოდ ათის ნახევარზე დაიწყეს და თერთმეტს ათი წამი აკლდა ისე დაიშალნენ. ეს კიდევ არაფერი (შევეჩვიეთ, აღარ გვაკვირვებს), რომ ჩვენ საქმიან მოღვაწეთ წარმოუდგენელი დაუდევრობა არ გამოეჩინათ, რის გამო დიდის გაჭირვებით შემდგარმა საბჭოს სხდომამ უნაყოფოდ ჩაიარა—სიაში ათჯერ თუ ოც-ჯერ მოქცეულ საქმეებს კი არაფერი ეშველა.

ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ მთავრობამ არ შეიწყნარა ქ. ტფილისის შუამდგომლობა პოლიტეხნიკუმის გახსნისა და პოლიტეხნიკუმისათვის საჭირო ფულის შესაგროვებლად კავკასიაში ხელის მოწერის გამართვის შესახებ. ქაღალდის შინაარსი ისე მარტივი და ცხადია, რომ მისი გაგება ან-ბანის კლასის მოსწავლესაც არ გაუჭირდება: მთავრობა ამბობს, გითხოვიათ პოლიტეხნიკუმის გახსნა, ნებას არ გაძლევთ, გითხოვიათ ხელის-მოწერის გამართვა პოლიტეხნიკუმისათვის ფულის შესაგროვებლად, არც ამის ნებას მოგცემთო. ყოველი გონიერი საბჭო, რომელსაც კი საქმის გაკეთება ჰსურს, მოისმენდა ამ ქაღალდს, „მხედველობაში მიიღებდა" და სხვა მორიგ საქმეებს შეუდგებოდა. ჩვენმა ხმოსნებმა კი სრული საათი მოანდომეს ამ „კითხვის განხილვას". მაგრამ როგორ განხილვას: თურმე არც ერთ ხმოსანს არ გაუგია მთავრობის მოწერილი ქაღალდი, თუმცა გარეგნად დიდის ყურადღებით ისმენდნენ ხსენებულ ქაღალდის წაკითხვას. ზოგი იმას ამტკიცებდა, მთავრობამ ხელის-მოწერის გამართვაზე გვითხრა უარი და არა პოლიტეხნიკუმზეო და ასეთ თავის აზრს იმით ასაბუთებდნენ, რომ არც ერთი მთავრობა არ არის განათლების წინააღმდეგიო; ზოგი პოლიტეხნიკუმის კითხვის ისტორიას მოჰყვა და ვინ იცის კიდევ რას. „ხანგრძლივ და გაცხარებულ" კამათის შემდეგ, წამოდგა გამგეობის წევრი ენფიანჯიანცი და მეორედ წაიკითხა მთავრობის ქაღალდი; ეხლა კი ყველამ დაინახა, თუ რა ტყუილა ნაყეს წყალი, ყველა სდუმდა და თავმჯდომარის წინადადებისამებრ ქაღალდი „მხედველობაში მიიღეს."

ქალაქის საბჭოს, დებულების ძალით, ჰყავს რამდენიმე აღმასრულებელი კომისია, მათ შორის საქალაქო სკოლების კომისიაც, რომელიც ქალაქის სკოლების სამეურნეო ნაწილს უნდა განაგებდეს, ნიშნავდეს სკოლის მოსამსახურეთ და სხვა. საბჭომ შეადგინა ამ კომისიისათვის სავალდებულო დადგენილებანი, მგონი, ამ რვა წლის წინად და ამდენი ხნის განმავლობაში ამ დადგენილებათ ვერ ეღირსა დამტკიცება. სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, საგუბერნიო ადმინისტრაცია ვერ გახდა თანახმა საბჭოს აზრისა და ბოლოს არ მიიღეს ეს დადგენილებანი და თავის შენიშვნებით უკანვე დაუბრუნეს საბჭოს. ამ შენიშვნებიდან სჩანს, რომ სკოლების კომისია მეტი ბარგი ყოფილა, რადგან თურმე სტოროჟის დანიშვნის მეტი მას არაფერი ეკითხება. საბჭო, საქალაქო დებულებაზე დამყარებული, ვერ დაეთანხმა საკრებულოსა და მზრუნველის ასეთ შეხედულებას და დაადგინა საკრებულოს გადაწყვეტილების განსაჩივრება სენატში. მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა საბჭოში.

ვინ უნდა დაწეროს სენატში გასაგზავნი საჩივარი? ჩვეულებრივ ეს ქალაქის თავის საქმეა. მაგრამ რადგან რამდენმამე ხმოსანმა გამოაცხადა, რომ ვერ ვენდობით ეხლანდელ ქალაქის თავსო, ამიტომ კომისიამ დასწეროს საჩივარიო. ბევრი იჩხუბეს და იდავიდარაბეს ამ საკითხის გამო და ბოლოს შეთანხმდნენ მიანდონ ეს საქმე გამგეობისა და სკოლების კომისიის შეერთებულ სხდომას.

ასე საჯაროდ ისეთის უნდობლობის გამოცხადებას სხვაგან ქალაქის თავის სამსახურიდან გადადგომა მოჰყვებოდა. ჩვენში კი?!

პატარა დღიური

„პატარა დღიური" დავაგვიანეთ; კვირაზე მეტი იქმნება აღარაფერი აღგვინიშნავს, თუმცა საყურადღებო ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა.

უპირველესს ყოვლისა მოსახსენებელია ის გარემოება, რომ ტფილისის ქალაქის არჩევნები „უინციდენტოდ" დამთავრდა. დიდის ხნის მზადებისა, სიტყვებისა და კრებების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ არჩევნები უფრო რიხიანად და თვალ-საჩინოდ ჩაივლიდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა და მშვიდობიანობა და წეს-რიგი არ დაირღვა.

უწინდელებრ სოლოლაკელებმა ამოჰყვეს თავი საბჭოში, მაშასადამე, ქალაქის საქმეების „წინ-მსვლელობას" უწინდელებრ არაფერი გადაეღობება და გადაუდგება. ამბობენ, ახალი ხმოსნები

ფელეტონი

დიდ-არარატზე ასვლა

წრეულს, აღდგომის უქმეებში, ეჩმიაძინის მონასტრის დათვალიერების დროს, დილით ადრე რომ გამოვედი გარეთ და სამხრეთისკენ არაქსის ველს გავხედე, პირველად დავინახე არარატი. ველი ჯერ კიდევ ნისლითა და ბურუსით იყო მოცული და სრულებით არა სჩანდა-რა, მხოლოდ არარატი ამართულიყო ჰაერში გასაოცრად დიადი და ბუმბერაზი. იმისი წვერი სადღაც ცის სივრცეში იკარგებოდა. ახლად ამომავალის მზის სხივები ზედ მისდგომოდა და, ისედაც თეთრად თოვლით დაფარულს, უფრო ასპეტაკებდა და ამშვენებდა.

აი მაშინ გადავწყვიტე მეცადნა არარატზე ასვლა. მაგრამ ვიდრე გავემგზავრებოდით, ბევრჯელ შემეცვალა გული ამ განზრახვაზე, ბევრჯელ შემეპარა ეჭვი, ვაი თუ ვერ შევძლო მწვერვალზე ასვლა-მეთქი. მე საზოგადოდ ცოტა მიმგზავრნია და ისიც ბარში, მაღალს მთაზედ-კი სულ ორჯელ არ ავსულვარ. თუმცა ერთი და ორი არ ასულა არარატზე, მაგრამ ბევრი მაინც საძნელოდა სთვლის. სომხებს ხომ, ნამეტნავად სასულიერო წოდებას, არარატზე ასვლა ყოვლად შეუძლებლად მიაჩნიათ. ძველად თქმულება იყო სომხებში, რომ არარატი სამფლობელო იყო ქაჯებისა და ეს უკანასკნელნი ყველას, ვინც-კი გაჰბედავდა იქ მისვლას, იჭერდნენ და ბნელს გამოქვაბულებში ატყვევებდნენ. ერთის მეფის შვილი, არტავაზდი, რომელმაც არ დაუჯერა მამის გაფრთხილებას და მაინც მოინდომა ნადირობა არარატზე, ქაჯებს დღესაც გამოქვაბულში ჰყავთ დატყვევებულიო, ამბობენ სომხები.

როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ყოყმანში ვიყავი, მაგრამ ბოლოს მაინც გადავწყვიტე გამგზავრება. მინდოდა ქართველური სიზარმაცე დამეჯაბნა. მოგეხსენებათ, ქართველებს არაფერი გვაინტერესებს, დიდებულს კავკასიაში ვცხოვრობთ და სრულებით არ ვიცნობთ მას, არ გვინახავს იმისი შესანიშნავი ადგილები. გადავწყვიტე წასვლა კიდევ იმიტომ, რომ ძარღვები გამეშალა, მცირე ხნით მაინც მოვშორებოდი ქალაქს, კანცელიარიის უაზრო შრომას, რომ გადამეყარა გულიდან სევდა...

ტფილისიდან აგვისტოს 6 ყარსის მატარებლით წავედით. სულ რვანი ვიყავით: ა. გ. ევანგულოვი, ლ. ე. სარქისოვი, რ. ი. დანილოვიჩი, ვ. ა. სოკოლოვი, ვ. ს. მელენჩუკი, ნ. ნ. პროსტოსერდოვი, ლ. ლ. შტრეიხერი და მერვეც მე. ბევრს ეჩხოდა გული წამოსასვლელად, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ვერ მოახერხეს. უმთავრესი აზრი ჩვენის მოგზაურობისა ის იყო, რომ არარატის წვერზე აგვეტანა და დაგვედგა სამეტეოროლოგიო ქოხი.

დილა იყო, როდესაც გუმბრის მაზრაში გავედით. არე-მარეს ხარბად ვაკვირდებოდი, მაგრამ ქართლ-კახეთ-იმერეთის მწვანით და ხეებით დაფენილ მინდვრებს და ტყეებით შემოსილს მთებს მიჩვეული თვალი სანუგეშოს ცოტასა ჰპოვებდა. გახრეკილი, მოტიტვლებული მინდვრები; შავი მიწიდან მუწუკებივით ამოყრილი ქვები და ტიტველა კლდეები—აი სურათი ერევნის გუბერნიისა. სადმე წყლის პირს თუ დაინახავ მწვანეს, იშვიათად მოჰკრავ თვალს ნერგს ან ჭანდარს. ხეხილის ბაღებს და ვენახებს შეხვდები მხოლოდ ერევანში და იმის მახლობლად ორს ან სამ სოფელში. ამ სურათს ზედ ერთვის სოფლებში ალიზით ნაშენი, ბანიანი სახლები, და სახლებ წინ მთელი გორები წივისა...

7 აგვისტოს, საღამო ჟამს, მატარებლიდან გადმოვედით კარხუნის სადგურზე. აქ გველოდნენ თარჯიმანი სურმალინის მაზრის სამმართველოსი და ოთხი „სტრაჟნიკი", ფურგონი ბარგისათვის და ეტლები ჩვენთვის. ყველა ეს გამოეგზავნა სურმალინის მაზრის უფროსს. ბინდი იყო, როდესაც გავუდექით გზას იგდირისაკენ. ბნელოდა და გარშემო ვერასფერს ვარჩევდით; ბნელაშივე გავედით არაქსის ხიდს და მხოლოდ ღამის 11 საათზე ჩავედით იგდირში. მეორე დღეს ეტლებით გავემგზავრეთ დილის რვა საათზე არალიხს, რომელიც იგდირიდან აღმოსავლეთით მდებარეობს. არარატის შიგ ძირში ვიყავით მთელ ამ დღეს და მის სიდიდე - სიმაღლეს ასე ახლოდან ვუცქეროდით. ამ ადგილს ძირიდან წვერამდე ოთხ ვერსზე ცოტა მეტია, ხოლო ირგვლივ 120 ვერსი იქმნება. ძირიდამ წვერამდე სავალი გზა ოც-ვერსზე მეტი მოსჩანდა. ცხელოდა, თუმცა ყინულით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლავე შეუდგნენ თადარიგს და დოკინ-ტახტების მოწყობას საბჭოს დარბაზში, რომ საყურადღებო საქმეების განხილვისა და კამათის დროს უფრო მოსვენებით და თავისუფლად მიეცნენ ძილს. თუ ეს ხმები გამართლდა და თუ ახალმა საბჭომაც ისეთი ნიჭი და უნარი გამოიჩინა, როგორც ძველმა, მაშინ ჩვენ ქალაქს „ძაღლი ვეღარ დაჭეჭყავს", იგი რუსეთისა კი არა, ევროპის ბევრ ქალაქსაც გაუსწრობს...

მეორე საყურადღებო ამბავი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდა. ერთ მშვენიერ და მთვარიან საღამოს, როგორც პოეტები ამბობენ ხოლმე, ამ დარბაზში წაიკითხეს მოხსენება ტფილისის მაზრის უფროსის თავად ჯანდიერისა. ბევრი რამაა საგულისხმო ამ მოხსენებაში, ისეთი, რაც დღემდე არავინ უწყოდა. თურმე ნუ იტყვით, ტფილისის გუბერნიის ოთხი მაზრა (ტფილისისა, ბორჩალოსი, თელავისა და სიღნაღისა) მთლად თუ არა, ნახევრად მაინც ყაჩაღებით, ავაზაკებით და ქურდებით ყოფილა დასახლებული. თავ. ჯანდიერი ბრძანებს, რომ ამ მაზრებში მცხოვრებთა ოთხმოც პროცენტს ქურდობა და ძარცვა-გლეჯა ხელობად აქვს გადაქცეული.

რასა თქმა უნდა, ქურდობის ამბები მაზრის უფროს ჩვენზე კარგად მოეხსენება, მაგრამ არ შეგვიძლიან მკითხველის ყურადღება ერთ გარემოებას არ მივაქციოთ. არსაიდან, არც გაზეთების კორესპონდენციებიდან და არც თვით პოლიციის ცნობებიდან, არა სჩანს, რომ იმ უთვალავ ქურდობას, რომლის საწეწ-საგლეჯადაც, მაგალითად, კახეთი გამხდარა ამ ბოლოს დროს, კახელებივე სჩადიოდნენ. პირ-იქით, პოლიცია ჰმოწმობს, რომ კახეთში საქონელს იპარავენ სხვა ადგილებიდან (მაგალითად, განჯის გუბერნიიდან) გადმოსული თათრები. შორს რომ არ წავიდეთ, აი აქვე, ტფილისის მახლობლად მდებარე ნავთლუხის საძოვრები ავიღოთ. ერთის თუ ორის თვის განმავლობაში, ვინ იცის, რამდენჯერ მოიპარეს და მოიტაცეს საქონელი ამ საძოვრებიდან!.. მერე, ვინ იყვნენ ქურდები? არც ერთი ქურდი ლილოს, ავჭალის ან სხვა რომელისამე მახლობლად მდებარე სოფლის მცხოვრები არა აღმოჩნდა: ყველანი შორიდან მოსულნი იყვნენ.

თუ ასეა, თუ ქურდები სხვა მხრის კაცები არიან, მაშ უსარგებლო და დიდად უსამართლო იქმნება ის „უებარი წამალი", რომელიც ქურდობის ამოსაფხვრელად იმავე მოხსენებაშია დასახელებული. თავ. ჯანდიერის აზრით, ნაქურდალი იმ სოფელს უნდა გადახდეს, სადაც ქურდობა მოხდა. ვისაც საქონელი მოჰპარეს, იმას ნაქურდალიც უნდა გადახდეს,— რომ იტყვიან, „ქუდი დასდე და სამართალი ჰქენიო", აი სწორედ ეს არის...

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, და მე კი ქურდობის ამოსაფხვრელად ბ-ნ ლიახოვსკის მიერ (ბორჩალოს მაზრის უფროსად ნამყოფის) დასახელებულ საშუალებას უფრო ვამჯობინებ. ბ-ნმა ლიახოვსკიმ იმავე საზოგადოების კრებაზე განაცხადა, რომ გერმანიაში ქურდებს ხაფანგებით იჭერენ და ჩვენც ეს ხერხი ვიხმართოთ. მართლაც და ხაფანგს რა სჯობია: ღამე, როდესაც შენ არხეინად გძინავს, ქურდი ჩაჭყოფს შიგ ფეხს, და მორჩა საქმე, მეორე დღეს რაც გინდა, ის უყავი ქურდს...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ თავად ჯანდიერის მოხსენებას. საზოგადოდ თავ. ჯანდიერს დიდი იმედი აქვს სასტიკ ზომებისა და პოლიციისა. როგორც იმავე მოხსენებაშია აღნიშნული, თავ. ჯანდიერს საჭიროდ მიაჩნია პოლიციელთა შტატის გადიდება. ეს კიდევ რა არის: იმის აზრით პოლიციას ზოგიერთი ისეთი უფლება უნდა მიენიჭოს, რაც დღეს მხოლოდ სასამართლოს აქვს მინიჭებული. მოგეხსენებათ, რომ სოფლად ბევრია სხვის ქონებისა და საკუთრების მოტრფიალე. ეს ვაჟბატონები იტაცებენ და ითვისებენ, სხვისას არა მარტო ქათამს, ბატს ძროხასა, არამედ ხშირად მიწა-ადგილსაც. აი ამისთვის უნდა ჰქონდეს ძალა პოლიციასაო, ბრძანებს თავ. ჯანდიერი, რომ მითვისებული ადგილი ჩამოართვას მიმთვისებელს და დროზე პატრონს დაუბრუნოსო...

მერე, ვინ იქმნება იმისი თავმდები, რომ პოლიცია ყოველთვის სამართლიანად მოიქცევა? ხომ შეიძლება პოლიციამ სიჩქარისა ან „სხვა და სხვა მიზეზებისა გამო" ადგილი მიმთვისებელს კი არა, მოსაკუთრეს ჩამოართვას, მაშინ?..

Spectator

საქალაქო არჩევნების სტატისტიკა

—

გათავდა ტფილისის საბჭოს ხმოსნებისა და მათი კანდიდატების არჩევნები...

მეტად არ მიგვაჩნია მკითხველ საზოგადოებას მივაწოდოთ ციფრები, რომელნიც ცოტად თუ ბევრად დაახლოვებით გაგვითვალისწინებენ არჩევნების შედეგს. ეს ციფრები არკვევენ უმთავრესად შემდეგ საკითხებს: 1) რამდენი იყო ამომრჩეველი, 2) რამდენმა გამოიჩინა გულშემატკივრობა ქალაქის საქმეებისადმი და დაესწრო არჩევნებს, 3) როგორ განაწილდა ამომრჩეველთა რაოდენობა ეროვნობის მხრით და 4) რამდენი იქმნა არჩეული ხმოსნად სხვა და სხვა ერის წარმომადგენელთაგან. ჯერ მოვიყვანთ ცნობებს თითეულ საარჩევნო რაიონის შესახებ და შემდეგ საერთოდ.

1-ლ საარჩევანო რაიონში სულ ამომრჩეველი იყო 1078 კაცი; ამათგან:

რუსი *) . . .	300 ან 27 პროც.
ქართველი . .	242 ან 22 „
სომეხი . . .	536 ან 51 „
სულ .	1078 ან 100 პროც.

ყველა ამომრჩეველთაგან საარჩევანო კრებაზე გამოცხადდა სულ 292 კაცი, ესე იგი, მხოლოდ 27%; ამათგან:

რუსი	54 ან 18% **)
ქართველი . . .	57 ან 23,5%
სომეხი	181 ან 33,5%

სულ 1-ლ საარჩევანო რაიონში არჩეულ იქმნა 24 ხმოსნი; ამათგან:

რუსი	1 ან 4%
ქართველი . . .	5 ან 21%
სომეხი	18 ან 75%

თითოეულ ერის ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით თუ ვიანგარიშებთ %% ს, დავინახავთ, რომ არჩეულია:

რუსი	⅓%
ქართველი	2%
სომეხი	3,3%

მე-2 საარჩევანო რაიონში სულ ამომრჩეველი ითვლებოდა 959 კაცი; ამათგან:

რუსი	27 ან 3%
ქართველი	60 ან 7%
სომეხი	834 ან 86%
თათარი	38 ან 4%

ამ ამომრჩეველთაგან კრებაზე გამოცხადდა სულ 187 კაცი ან მხოლოდ 19½%; ამათგან:

რუსი	3 ან 11%
ქართველი . . .	12 ან 20%
სომეხი . . .	165 ან 19%
თათარი	7 ან 18%

ამათ აარჩიეს სულ 24 ხმოსანი, რომელთაგან:

რუსი	—
ქართველი . .	2 ან 8%
სომეხი . . .	21 ან 87½%
თათარი . . .	1 ან 4½%

თითოეულ ერის ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით არის:

რუსი.	—
ქართველი.	3⅓%
სომეხი.	2½%
თათარი	2½%

მე-3 საარჩევანო რაიონში სულ ამომრჩეველთა რიცხვი ითვლებოდა 1257; ამათგან:

რუსი. . . .	350 ან 27%
ქართველი . .	222 ან 17%
სომეხი. . . .	575 ან 45%
გერმანელი . .	95 ან 8%
თათარი . . .	15 ან 3%

ამათგან საარჩევნო კრებაზე გამოცხადდა სულ 276 კაცი; ამათგან:

რუსი. . . .	93 ან 26%
ქართველი . .	44 ან 19%
სომეხი . . .	114 ან 19%
გერმანელი . .	21 ან 22%
თათარი . . .	4 ან 27%

სულ ამათ აირჩიეს 28 ხმოსანი; ამათგან:

რუსი	8 ან 29%
ქართველი. . .	6 ან 21%
სომეხი. . . .	13 ან 46%
გერმანელი . .	1 ან 4%

თითოეულ ერის ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით არის:

რუსი	2½%
ქართველი	2½%
სომეხი	2 %
გერმანელი. . . .	1 %

აი ცხრილი არჩევნების საერთო სურათისა:

	ამომრჩეველთა რაოდენობა.		რამდენი დაესწრო საარჩევანო კრებას.		რამდენი ხმოსანი აირჩიეს.		
	რიცხვი	%%	რიცხვი.	%%	რიცხვი.	%% ხმოსანთა რიცხვის მიხედვით	%% ერთა ამომრჩევლ. მიხედვით.
რუსი	677	20,6	150	22	9	11,8	1,3
ქართველი	524	15,9	113	21	13	17,1	2,4
სომეხი	1945	59,1	460	23	52	68,5	2,6
გერმანელი	95	2,8	21	22	1	1,3	1,0
თათარი	53	1,6	11	20	1	1,3	1,8
სულ	3294	100	755	—	76	100	—

დამატებითა არჩევნებმა ეს სურათი ძალიან ცოტა შესცვალეს. ამომრჩეველთა რაოდენობა, რასაკვირველია, იგივეა; ხოლო კრებაზე მისულთა რიცხვი ამ შემთხვევაში ნაკლებ არის საინტერესო და საზოგადოდ ნაკლებ განსხვავდება ამ მხრით პირვანდელ არჩევნებისაგან. დამატებით არჩევნებზე აირჩიეს კიდევ ოთხი ხმოსანი: ორი ქართველი, ერთი რუსი და ერთი სომეხი; ასე რომ მომავალი საბჭო, თუ არჩევნები დამტკიცებულ იქმნა, შესდგება სულ 80 ხმოსანისაგან, რომელთაგან იქმნება:

რუსი . .	10 ან 12½%
ქართველი.	15 ან 18¾%
სომეხი . .	53 ან 66¼%
გერმანელი.	1 ან 1¼%
თათარი . .	1 ან 1¼%
სულ . .	80 — 100

ხმოსანთა რაოდენობის მიხედვით.

---

*) აქვე არიან პოლონელნი, გერმანელნი და სხვ.

**) ამ შემთხვევაში %% გამოანგარიშებულია იმის მიხედვით, თუ რამდენია სულ თითოეულ ერის ამომრჩეველი.

სასამართლო

I

ქურდი კონდუქტორის საქმე

ორშაბათს, 14 ოქტომბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ამიერ კავკასიის რკინის გზის კონდუქტორის, ხარკოვის გუბერნიიის მცხოვრების ლუკა პტუშკასი, რომელსაც შემდეგი ქურდობა ჰბრალდებოდა: ამა წლის 7 ივლისს ბათუმიდან ტფილისის სადგურზედ მოსულა მატარებელი. ერთს მგზავრს, გვარად გეიმს, უთქვამს ჟანდარმისათვის, რომ საქონლის ვაგონში შენახული ჩემოდანიდან ვიღაცამ ნივთები მომპარაო. ასწონეს ჩემოდანი და აღმოჩნდა, რომ 5 გირვანქა დაჰკლებია. ჟანდარმის აფიცერმა ეჭვი კონდუქტორ პტუშკაზე აიღო, ამის გამო პტუშკას სახლის გასაჩხრეკად წასულა. პტუშკას აფიცერი და პოლიციელნი ჯერ სხვა ქუჩაში წაუყვანია და მხოლოდ შემდეგ უჩვენებია თავისი სახლი. პტუშკას სახლში აღმოაჩინეს როგორც გეიმისა, ისე სხვა, აგრეთვე მოპარული, ნივთები, სულ 264 მანეთისა. მაშინ დამნაშავე გამოტეხილა და უთქვამს, რომ ნივთები რკინის გზაზე მოვიპარეო. კონდუქტორი პასუხის გებაში მიეცათ. სასამართლოშიაც გამოტეხილა, ამასთანავე უთხოვნია თავმჯდომარისათვის, ექსპერტიზა დანიშნეთ, რომ შემამოწმონ, რადგანაც ერთგვარის სენით ესრედ წოდებულ კლეპტომა-

---

და თოვლით დაფარული არარატის წვერი ზემოდამ დაგვყურებდა. გზის მარცხნივ არაქსის დიდ ველს გავცქეროდით; ალაგ-ალაგ, სადაც წყალი იყო, მოსჩანდა ნათესები ბამბისა, შირბახტისა, სელისა და სხვა ძვირფას მცენარეულობისა, მომეტებული ადგილი-კი მოტიტვლებული, უნაყოფო იყო; არა იდგა-რა ერთ გვარ დაბალი ბუჩქების მეტი. თვით ადგილი ახლად დამშრალ ლამიან ტბის ძირს მიემგზავსებოდა.

არალიხიდან ბარგი აქლემებით გავისტუმრეთ და ჩვენ ცხენებით შევუდექით არარატის ფერდობს. ამ ღამეს სარდარ-ბულახში უნდა მივსულიყავით, რომელიც არალიხიდან 30 ვერსზე მდებარეობს. თან ორი სტრაჟნიკი და ერთი ურიადნიკი მოგვდევდნენ, რადგან ეს გზა საშიშია ყაჩაღების მხრივ. გზაში დაგვიღამდა და ბნელაში მოგვიხდა სიარული კლდეებსა და ხევებში, მაგრამ ამ გვარ გზას მიჩვეულ ცხენებს მშვიდობით მივყავდით. ისედაც უჩვევნი ცხენზე ჯდომას, უხეირო უნაგირებმა და ოღრო-ჩოღრო გზამ კარგა მოგვქანცა.

სარდარ-ბულახიდან ასვლა არარატზედ საუკეთესოდ ითვლება. აქედან პირველად აბიხი ავიდა, 1845 წ. და მას შემდეგ ამ გზას არ ასცდენია არც ერთი მოგზაური, გარდა ინგლისელ ალიკ.— დჟ. ფრაზერისა და ოთხის იმის ამხანაგისა (1856 წ.), რომელნიც მთის სამხრეთ ძირიდან ავიდნენ. სარდარ-ბულახი მდებარეობს დიდსა და პატარა არარატის შუა ღელეში 7540 ფუტის სიმაღლეზე. ზაფხულში სიგრილე, ცივი და გემრიელი წყარო, ბალახით სავსე ფერდობები, პატარა არარატის ძირში არყის ჭალა და ორი უზარმაზარი (მარჯვნივ და მარცხნით) მთა საუცხოვო, საარაკო სიმშვენიერეს აძლევს ამ ადგილს. ამიტომაც იგი ძველად ერევნის ხანების საააგარაკო ადგილი იყო; აქედან დარქმევია სახელად სარდარ-ბულახი (სარდარი—მოადგილე, ხანი და ბულახი—წყარო). ძველიდანვე აქ ქურთებს საზაფხულო სადგომები აქვთ და საქონელს აძოვებენ. ეხლა აქ სამის სახელმწიფოს სამზღვარი იყრება: რუსეთისა, სპარსეთისა და ოსმალეთისა. რუსეთს სარდარ-ბულახში ზამთარ-ზაფხულს საზღვრის დარაჯთა რაზმი უყენია, რადგან აქაურ გზას ძალიან ეტანებიან ყაჩაღები ნაქურდ-ნატაცით და კონდრაბანტისტები უბაჟო საქონლით. იმ ღამესვე მოვიდა ჩვენთან ქურთების მამასახლისი, ჰასან-ბეკ-შამშადინოვი. ჰასან-ბეკმა შეგვატყობინა, რომ ქურთები, რამდენიც-კი დაგვჭირდებოდა ბარგის საზიდათ, მზათა მყავსო, აქვე ყოფილა გზის მაჩვენებელი, მხნე მოხუცი ქურთი ბაბოც, არა ერთხელ და ორჯერ ნამყოფი არარატზე. გამოგვაყოლეს აგრეთვე ოთხი ჯარის კაცი, მაშასადამე, ყაჩაღების შიში აღარ უნდა გვქონოდა.

მშვენიერი, წყნარი ამინდი იდგა. ამით მოხიბლულთ ტკბილს ძილს მივეცით თავი ლია კარავში. მეორე დღე მოვანდომეთ ბარგის განაწილებას და შეკვრას მზიდველ ქურთებისათვის და ვსწავლობდით სამეტეოროლოგიო ქოხის შეკვრა-აშენებას: იგი წვრილ ნაჭრებად გვქონდა დაშლილი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი მაღლა ატანა. ამ დღეს ერთი ამხანაგი ავად გაგვიხდა, სიცხე ჰქონდა, თავი სტკიოდა, კუჭი მოშლილი ჰქონდა. ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, დაგვაღონა, რადგან იგი ყველაზე საიმედო იყო, იმის იმედი გვქონდა, რომ მიაღწევდა წვერს და სამეტეოროლოგიო ქოხს დასდგამდა. საბედნიეროდ, მეორე დილას ისე კარგად გახდა, რომ ჩვენთან ერთად წამოვიდა.

მთელ ამ დღეს თვალი არ მოგვიშორებია არარატისათვის, თვალით ვზომავდით, ვსწავლობდით მის ფერდობებს, მის ღელე-კლდეებს. ამ მხრიდან თოვლი ბევრი არა სჩანდა, ძირიდან წვერამდე ზოლებივით ასდევდა კიბეებსავით შავი კლდის სერები, მხოლოდ ალაგ-ალაგს იწვა თოვლის და ყინულის ზვავები. ამ ღამეს მთვარე ახლად იყო ამოსული და ოდნავ ანათებდა არე-მარეს. ბუმბერაზი მთები ბუნდათ მოსჩანდნენ ჰაერში. სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო ირგვლივ. კარვის წინ ვიყავ გულ-აღმა დაწოლილი და ვარსკვლავებს მივჩერებოდი, ფიქრმა და ოცნებამ გამიტაცა. მახლობლად გაისმა რუსის ჯარის კაცთა სიმღერა, ნაღვლით და სევდით შეზავებული. პატარა ხნის შემდეგ სიმღერა შესწყდა და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მცირე ხანიც და იმავე მხრიდან ქართული სიმღერა შემომესმა. უნებურად წამოვჯექი და მთლად სმენად გარდავიქეცი. არა, ყური არ მატყუებდა, ჩვენებური ჯარის-კაცი მღეროდა. ტკბილმა ჟრუანტელმა დამირბინა ტანში...

(შემდეგი იქნება)

ნიით ვარ ავადაო. სასამართლოში 14 ოქტომბერს ბრალდებულმა ხელახლა ითხოვა ექსპერტების დანიშვნა შესამოწმებლად. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ ეცნო პეტუშკა და გარდაუწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში $1^{2}/_{1}$ წლით გაგზავნა.

II

მცირე წლოვან დამნაშავის საქმე

1897 წელს ავჭალის მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენში გაუგზავნიათ 13—14 წლის უმაწვილი ალექსანდრე ბუდიაშვილი. ბუდიაშვილი ერთს დღეს ახალშენიდან გამოპარულა, ჩამოსულა ტფილისში და დაუწყია „ჯიბგირობა“. ამ რამდენისამე თვის წინად ბუდიაშვილისთვის მოუსწრიათ ცხენის რკინის გზის ვაგონში, როდესაც თათრისთვის ჯიბიდან 600 მანეთი ამოუცლია. ეს საქმე ოლქის სასამართლომ განიხილა ორშაბათს, 14 ოქტომბერს, დამნაშავედ იცნო ბუდიაშვილი და გადაუწყვიტა 8 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ოქტომბერი

ბერლინი. ჰლექის საწინააღმდეგოდ გამართულს კონფერენციას 13 ოქტომბერს შემდეგი დეპეშა მოუვიდა ლივადიიდან: ხელმწიფე იმპერატორი მადლობას უცხადებს კონფერენციასა და ჰლექის საწინააღმდეგოდ დაარსებულს საერთაშორისო ბიუროს გრძნობათა გამოცხადებისათვის და უსურვებს, მათი მისწრაფება სავსებით ასრულებულიყოს“.

სემიპალატინსკი. ყირგიზებისათვის სკოლები გაიხსნა, რომ რუსული ენა ასწავლონ.

მოუსავლობის დროს გაჭირვების ასაცილებლად ერთი მილიონი ფუთი თივა შეინახეს.

იალტა. ოსმალეთის ელჩები 16 ოქტომბერს მოვლენ აქ.

კონსტანტინეპოლი. სელამლიკის შემდეგ სულთანმა ჩერნოგორიის ელჩი ბაკიჩი მიიღო. დარწმუნებით ამბობენ, ბაკიჩმა მხარი მისცა სერბიის ელჩის გრუიჩის სათხოვარს სტარო-სერბიაში ქრისტიანთა მდგომარეობის შესაშესახებ, რომელზედაც ალბანელები ძალადობას ჰხმარობენო.

— ოსმალები ამტკიცებენ, რომ იემენსა და ადენს იქით მდებარე ადგილების საზღვრების გასწორება შეჩერდაო, რადგან ინგლისელებმა უსაფუძვლო სურვილების გამოცხადება დაიწყესო; ინგლისელები ამბობენ, რომ ოსმალებს არავითარი უფლება არა აქვთ იმ ადგილებში, რომელნიც ინგლისელების გავლენის ქვეშეაო.

კოპენჰაგენი. მემკვიდრე-პრინცი ბერლინს წავიდა.

კონსტანტინეპოლი. გერმანიის ბანკისა და ანატოლიის გზის დირექტორს პორტა პატივსა სცემს. სულთანმა იმის პატივსაცემლად სადილი გაჰმართა.

ლონდონი. ვაშინგტონიდან გაზ. „სტანდარდ“-სატყობინებენ, რომ რუზველტი თავისს მომავალ ეპისტოლეში ურჩევს, მოსაგერებელი ძალა გავიმაგროთო, აგრეთვე სადამოენო ტარიფების გადასინჯვის პროექტსაც წარუდგენს.

გვატემალა. ნაცრის ფერფლის წვიმა მოვიდა ქალაქ კვეზალტენანგში, ამიტომ მცხოვრებლები ქალაქიდან პოტონიკაპანს გავიდნენ. სანტა-მარიას ვოლკანის ამოხეთქის დროს მიწაც ცოტად ირყეოდა და განუწყვეტელი გუგუნი გაისმოდა. დედაქალაქს შიში არა აქვს.

მოსკოვი. დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ კადეტთა მესამე კორპუსი დაათვალიერა.

პეკინი. სავაჭრო ხელ-შეკრულობათა შესახებ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად ჩინეთის მაგიერ წარმომადგენლად დანიშნულია ვუტინფანგი.

ბერლინი. გაზ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ი იუწყება, ინგლისის მთავრობამ აცნობა პორტას, რომ ინდოეთის ჯარები გამოდევნიან ოსმალოს ჯარებს ჰაუშაბის ადგილებიდან, რომელიც ადენს ეკვრის გვერდით.

ლონდონი. ჩემბერლენი ნოემბერში აფრიკას წავა, რომ იქაურ საჭიროებათა შესახებ ანგარიში ადგილობრივვე შეადგინოს.

პეტერბურგი. რადგან რუსეთის მეურნეთა დანიაში მოგზაურობამ კარგი ნაყოფი მოიტანა იმით, რომ ადგილობრივ კარგად გაიცნეს იქაური სამეურნეო მრეწველობა, მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გადასწყვიტა ამისთანა მგზავრობა წესად შემოიღეს.

— ტავრიდის სასახლეში ძველ-რუსთა ნივთების გამოფენას გაჰმართავენ.

— იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა სასარგებლოდ გადასახადი იქმნება შემოღებული.

15 ოქტომბერი

კატანია. დიდის წვიმების გამო კალაპოტიდან გადმოსულმა მდინარე სიმეტომ გააფუჭა რკინის გზის ლიანდაგი. სირაუში მდინარემ 5 მეტრზე აიწია. სოფლელები სახლის ჭერებზე ავიდნენ და იქიდან თოფებს ისროდნენ და შველას თხოულობდნენ.

ხარკოვი. მთა-მადნის მრეწველთა კრების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა რკინის გზათა გამგეობის იმ ცირკულიარის გაუქმების შესახებ, რომელიც ავალებს გზებს ვაგონი იმაზე მეტით არ დატვირთონ, რის წაღებაც შეუძლიან, თუმცა სატარიფო კანონების ძალით შეიძლება უსასყიდლოდ $1^{1}/_{2}$ პროცენტით მეტის გაგზავნაც.

კიევი. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზათა გამგეობა აცხადებს, რომ რადგანაც ადესის ელევატორი სავსეა, 15 ოქტომბრიდან პურის მიღება დროებით მოისპობაო.—13 ოქტომბერს კიევიდან მე-70 ვერსზე, ფასტოვოსა და კოჟანკის სადგურებს შუა, საქონლის მატარებელი № 64 ლიანდაგს გადასცდა. დაშავდა კონდუქტორი.

ბელგრადი. ვუიჩი პარიზში მიდის სერბიის სესხის გასანაღდებლად.

ვილდპარკი. დანიის ტახტის მემკვიდრეს, რომელიც გუშინ მოვიდა, იმპერატორი მეგობრულად დაჰხვდა. 8 საათზე სადილი გაიმართა ახალს სასახლეში.

ლონდონი. მისის უდიდებულესობის მომღერალმა ქალმა ბოლსკამ მომავალ სეზონისთვის ხელი მოაწერა ლონდონის კოვენტ-ჰარდენის თეატრთან დადებულ ხელ-შეკრულებას.

იალტა. ვაჟთა გიმნაზიაში ბარონესსა ფრედერიკსმა და ქ-ნმა კაჩალოვისამ წითელის ჯვრისა და „იასლის“ სასარგებლოდ წარმოდგენა გამართეს. დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა, დიდნი მთავარნი და მთავრინანი და ამალა.

პეკინი. იუანშიკაი დანიშნულ იქმნა ვაჭრობის მეორე მინისტრად და იმ კომისიის წევრად, რომელსაც სავაჭრო ხელშეკრულებების დადება აქვს დავალებული.

სოფია. გაზ. „რეფორმი“ საიმედო ცნობებს იუწყება მაკედონიაში არეულობის შესახებ. ცონჩევს შიში არ მოელის. 8-სა და 9 ოქტომბერს შეტაკება კრესნაში იყო, 12-ს—რაზლოგში. ოსმალებმა 40 კაცი მოკლული დაჰკარგეს.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ბალახნაში ორჯელ დანიშნეს სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ სამაზრო კომიტეტის კრება, მაგრამ წევრნი კომიტეტისა არ გამოცხადდნენ. კომიტეტი დაიხურა.

პეტერბურგი. პაჟესკი კორპუსს ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა ბაირაღი საიუბილეო ზედ-წარწერით „1802—1902“.

პრინცესას ევგენია მაქსიმილიანეს ასულს ოლდენბურგსკისას რესკრიპტით ებოძა მარიამის ნიშანი 1-ლის ხარისხისა 40 წლის უმწიკვლო სამსახურისათვის.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 11 ოქტომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,90—93,95	
ბერლინზე 100 მარკაში	45,95	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,65	
ბერლინზე „	46,25	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	$4^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}\%$	
4% სახელმწიფო რენტა	97	მყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100	გაყიდ.
$4^{1}/_{2}\%$ შინაგანი სესხი 1893 წ.	$94^{1}/_{2}$	მყიდვ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$467^{1}/_{2}$	გაყიდ.
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	354	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$287^{1}/_{2}$	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	94	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4^{1}/_{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—	
$4^{1}/_{2}\%$ გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	179	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—16)

რ. გ. კავალი,

სკრიპკის მასწავლებელი აძლევს გაკვეთილებს. ადრესი: „ვოენნაია“ ქუჩა, სახლი ენიკოლოფოვისა, № 9. (4—2)

იყიდება

სამ-სართულიანი

სახლი

დუქნებით და ფლიგელით, იძლევა 8%-ს წმინდა შემოსავალს. იკითხეთ ბაზრის ქუჩაზე სახლი № 8, დილით 9—10 საათ. და საღამოთი 5—6 საათ. (10—2)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

განქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ზის

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გერის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 **კაპ.**).

ტელეფონი № 754. (წ.).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი.	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილის	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასისა ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

ახალი წიგნი

ფიზიოლოგია

დ-რი ფოსტერისა

სურათებით

ფასი 25 კ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდან)

ტელეფონი № 741.

გადავიდა ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика. (0—26)

Дозв. ценз. Тифлисъ, 15 Октября, 1902 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).